

ც ე ბ უ ც ხ ბ .

ძმრის ნარმოვება

შ ე ს ა გ ა ლ ი

ძმარი, ძმარმჟავა, ძმარმჟაური დუღილი

ძმარი სპირტის შემცველი სსნარების ბიოქიმიური გარდაქ-
მნით მიღებული ისეთი პროდუქტია, რომლის მთავარ შემადგენელ
ნაწილს ძმარმჟავა წარმოადგენს.

ძმარმჟავის გარდა, ძმარში გვხვდება: ლვინის, ვაშლისა და
ლიმონმჟავები, ალკოჰოლი, ექსტრაქტული, მთრიმლავი და
სალებავი ნივთიერებანი, ნაცროვანი ელემენტები, ძმარმჟავა ეთილ-
ეთერი და სხვა არომატული საწყისები. ამის გარდა, ლვინის ძმა-
რი შეიცავს მეთილაცეტილკარბინოლს, ლუდის ძმარი კი—დექს-
ტრინს. ყველა ჩამოთვლილი ნივთიერება (მეთილაცეტილკარბინოლი-
სა და ძმარმჟავაეთილეთერის გარდა) ძმარში გადადიან იმ ნედლე-
ულიდან, რომლიდანაც დამზადებულია ძმარი.

ლვინის დაძმარება ცნობილი იყო ძველ ხალხთათვის. ამიტომ
ძმარმჟავაც,—როგორც ძმრის მევინანობის საწყისი—მევათა შო-
რის ყველაზე ადრე ცნობილ მევად უნდა ჩაითვალოს.

თავდაპირველად ძმარს სამკურნალო მიზნებისათვის იყენებდნენ,
შემდეგ იგი საგემოვნო პროდუქტი გახდა და ბოლოს, მრეწველო-
ბის განვითარებასთან ერთად, კიდევ უფრო გაფართოვდა მისი
მოხმარების სფერო.

ძმრიდან გამოყვეს სუფთა ძმარმჟავა, რომელიც მოიხმარება:
ქიმიურ მრეწველობაში (რთული ეთერებისა, ძმარმჟავა
ალდეჰიდისა, ხელოვნური ბოჭკოებისა, კაუჩუკის, პლასტიკური
მასალებისა და აცეტონის წარმოებისათვის), საფეიქრო მრეწველო-
ბაში (სამლებრო საქმისათვის), საფარმაცევტო მრეწველობაში
(ასპირინის, ანტიპირინის, ფენაცეტინის, ვინილინისა და სხვათა
სინთეზისათვის), საღებავების მრეწველობაში (ინდიგოს სინთეზისა-
თვის, ტყვიის მათეთრის მისაღებად), სასურსათო საქონელის
მრეწველობაში (მარინადებისა და სხვა სახის კონსერვების დასამ-
ზადებლად).



მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაქმაყოფილების ლად გამოხახეს ნედლეულის ახალი წყაროები: ძმარმება მიიღეს ხისაგან—მშრალი გამოხდით, აცეტონიდან—სინთეზის გზით.


ბიოქიმიური ძმარი მხოლოდ საგემოვნო პროდუქტად დარჩა; მისი ადგილი მრეწველობის სხვა დარგებში დაიკავა სუფთა ძმარმებამ, რომელიც ყოველმხრივი შესწავლის საგნად იქცა.

1814 წელს ბერცელიუსმა დააღვინა ძმარმებას ქიმიური შედგენილობა. შემდეგში თანამიმდევრულად გამოკვლეულ იქნა მისი ქიმიური და ფიზიკური თვისებებიც.

ძმარმება, ეთანმებავა, მეთან-კარბონმება Acidum acetieum შარმოადგენს ერთფუძიან ორგანულ მებავას. მისი ქიმიური ფორმულა CH_3COOH .

ძმარმება ყოველგვარი პროპორციით იხსნება წყალში, სპირტსა და ქლოროფორმში.

წყალში გახსნისას გამოჰყოფს სითბოს და ხსნარი მცირდება მოცულობაში. ეს ეფექტი მაქსიმუმს აღწევს $77-80\%$. კონცენტრაციის დროს ნორმალურ ტემპერატურაზე. ასეთ ხსნარში ერთ მოლექულ ძმარმებაზე ერთი მოლექული წყალი მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ $77-80$ პროცენტიანი ძმარმება წარმოადგენს წყალთან შეერთების პროდუქტს—ძმარმებას მონოკიდრატს ანუ ორთო ძმარმებას



ამ პირობებში ძმარმებას ხვედრითი წონა უდრის $1,0748$. შემდგომი განზავებით, ან კონცენტრირებით—ხვედრითი წონა მცირდება, ისე რომ 100% ძმარმებას ხვ. წონა უდრის $1,0497$ (იხ. დამატება 1).

ძმარმება $+16,7^\circ \text{C}$ —ზე მყარდება უფერული გამჭვირვალე ფირფარტების სახით, რომელთაც ყინულის შეხედულება აქვთ და ამიტომ, ხშირად, ყინულძმარმებას უწოდებენ ხოლმე. ფირფარტების ხვ. წონაა $-1,105$; ძმარმებას კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად გამყარების წერტილიც დაბლა იწევს (იხ. დამატება V). ძმარმება დუღს $118,0^\circ \text{C}$ —ზე, გამოიხდება წყლის ორთქლით, რის გამო მას აქროლადი მეცნიერების ჯგუფს აკუთვნებენ. დუღილის ტემპერატურასთან ახლოს ძმარმებას ორთქლის სიმკვრივე და მოლექულური წონა შეესაბამება ბიომოლექულულ ფორმულას—



—(CH₃COOH)_n, მონომოლექულური ფორმულის შესაბამის სიმკერვალის ვეს ძმარმებავას ორთქლი იღებს მხოლოდ 200°C—ზე ზევით.

ძმარმებავას ორთქლი ჰაერთან შედარებით 2,1 ჯერ უფრო მძიმეა.

ძმარმებავას მოლექულური წონაა	60,05;
ღნობის ხელის სითბო	46,4 კგალ/კგ;
აორთქლების სითბო 20°C-ზე	84,0 კგალ/კგ;
აორთქლების სითბო 118,1°C-ზე	97,05 კგალ/კგ;
ძმარმებავას თბოტევადობა	0,5265; კგალ/კგ°;
ძმარმებავას ორთქლის თბოტევადობა	0,4008; კგალ/კგ°;
დისოციაციის კონსტანტა	1,82—10 ⁻⁵ ;
თბოუნარიანობა	3490 კგალ/კგ;
მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი	0,00112;
კრიტიკული ტემპერატურა	321,5°C;
კრიტიკული წნევა	57,2 ატ.


თუ ძმარმებავას ვადულებთ ვაკუუმში, მაშინ მისი დუღილის ტემპერატურა შემდეგნაირად შეიცვლება:

გაიშვიათება ვერცხლის-	ტემპერატურა °C
წყლის სვეტის მშ-ბით	
0	118,1
526	84,6
611	73,2
710	49,8
750	15,0

ალკოჰოლის შემცველი ხსნარების დაძმარება—ანუ ძმარმებაური დუღილი—ტიპობრივი ბიოქიმიური პროცესია, აქ საქმე გვაქვს ძმარმებავა ბაქტერიების მეშვეობით ალკოჰოლის ძმარმებავამდე დაუანგვასთან.


ძმარმებავა ბაქტერიები ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ძმრის დედო“—გამოჰყოფს ბიოქატალიზატორს ანუ ენზიმს (ფერმენტს) „ალკოჰოლოქსიდაზს“, რომელიც აჩქარებს სპირტის დაუანგვას.

ფიქრობენ, რომ ალკოჰოლის სპირტად დაუანგვის რეაქციაში პირველი სტადია მდგომარეობს ალკოჰოლის დეპიდრირებაში, რის შედეგადაც მიიღება აცეტალდებიდი, რომლის შემდგომი დაუანგვა ძმარმებავას გვაძლევს. ეს რეაქცია ასეთი სახით დაიწერება:






ძმარმეავა, ბაქტერიების ზოგიერთ რასას შეუძლია აცეტილიკაზი დეპილი გარდაქმნას ძმარმეავად და ეთილალქონოლად ჰაერის ეანგაბადის მონაწილეობის გარეშე. ნეიბერგის აზრით, ამ გარდაქმნაში მონაწილეობას ღებულობს ენზიმი ალდეპილმუტაზი, რომელსაც აქვს უნარი ალდეპილი გადაიყვანოს თანაბარი ოდენობის ეთილალქონოლად და ძმარმეავად, ე. ი. მოახდინოს ალდეპილის დისმუტაცია გაყავრებული წყლის საშუალებით (ტიშჩენჯო—კანიკაროს რეაქცია)



საინტერესოა ვილანდის გამოკვლევები ძმარმეაური დულის ქიმიზმის შესასწავლად. მან თავის გამოკვლევათა საფუძველზე წამოაყენა და შემდეგ ექსპერიმენტულად დაამტკიცა ალქონოლის ძმარმეავამდე დაუანგვის ახალი მექანიზმი, რომლის თანახმად ალქონოლი ჯერ განიცდის დეპილრინებას აცეტალდეპიდამდე და შემდეგ აცეტალდეპიდის ჰიდრატული ფორმა ხელახლა დეპილრინდება ძმარმეავამდე. ეს რეაქცია ძმარმეაური დულილის ბაქტერიების მიერ გამოყოფილი ენზიმების მეშვეობით ხდება და შეიძლება ასე დაიწეროს



აქ ჩამოხლეჩილი ორი წყალბადი დაიწვის წყლამდე, რომელიც უერთდება აცეტალდეპიდს; მაშასადამე, უფრო ვიწრო გაგრძით, ასეთი დეპილრინება განირჩევა დაუანგვისაგან მით, რომ მეავას მოლექულაში შემავალი უანგბადი წარმოიშვება არა უშუალოდ დამეანგველისაგან.

ასეთი რეაქციის განხორციელების პრინციპული შესაძლებლობა ვილანდმა დაამტკიცა ეთილის სპირტის ძმარმეავამდე დაუანგვით ჰაერის უანგბადის მონაწილეობის გარეშე. ამ პროცესში ჩამოხლეჩილი წყალბადის აქცეპტორად იყენებდა ქინონსა და მეთილენის ლურჯს, რომელთა გამოყენებით დამეანგველის მოქმედება უანგბადის გაცემით გამოთიშვლია.

ძმრის წარმოების პრაქტიკაში ძმარმეაურ დულილს ახორციელებენ ძმარმეაური დულილის ბაქტერიებით.



სადლეისოდ აღწერილია ძმარმეური დულილის ბაქტერიების
ოცამდე სახე; მათ აქვთ ჩინირისებრი ფორმა, სპორებს არ ინვი-
თარებენ, ყველა სახე მოძრავია, ბაქტერიების ზომები მერყეობს
0,6 – 43,4 μ ; მაღალ ტემპერატურაზე ინვითარებენ ინვოლუციურ
ფორმებს (მსხლის მაგვარი, ბურთისმაგვარი, ძაფისმაგვარი), იყე-
ნებენ სპირტის ძმარმეურამდე დაეკანვის ან სხვადასხვა შაქრი-
სა და სპირტის დაეკანვის ენერგიას. მათ შეუძლიათ ანაერობული
დისიმილაციის ენერგიის ათვისებაც.

ძმარმეური დულილის ბაქტერიების მეშვეობით ტექნიკური
მიკრობიოლოგია ანხორციელებს სამრეწველო მნიშვნელობის მრა-
ვალ ბიოქიმიურ პროცესს: ძმარმეურას მიღებას სპირტიდან,
სორბოზულ დულილს, დიოქსიაცეტონის მიღებას გლიცერინიდან
და 10-მდე სხვა პროცესს.

ჩვენ შევჩერდებით ძმარმეური დულილის ბაქტერიების
იმ სახეებზე, რომლებიც გვხვდებიან მრის წარმოებაში. ასეთებია:
Acetobacter aceti, *A. Pasterianum*, *A. orleanense*, *A. Schützen-
bachii*, *A. curvum*.

A. Pasterianum და *A. Aceti* ძალიან მსგავსი კულტურებია.
ბაქტერიების ზომა $(1\div 2)\times 0,4\mu$; ხშირად ერთმანეთს გადაებმიან
ჯაჭვისებრად. უძლებენ 11% ძმარმეურას; თვით შეუძლიათ დააგ-
როვონ 6% -მდე მეავა, უფრო ხშირად გვხვდებიან ლუდსა და
ლვინოში. მათი მოქმედების ოპტიმალური ტემპერატურაა 34°C .
სითხის ზედაპირზე წარმოშობენ აფკს, რომელიც იშლება და ამღ-
ვრევს სითხეს. ამ ბაქტერიის კულტურას მრის წარმოშობაში, არ
ხმარობენ.

A. orleanense—ინვითარებს საქმაოდ შეარ მოყვითალო აფკს,
ამიტომ სითხეს არ ამღვრევს, უფრო ხშირად მრავლდება დაბალი
სიმაგრის ლვინოში. $10\div 12\%$ უფრო მაღალი კონცენტრაციის
სპირტს ველარ უძლებს. არეში შეუძლია დააგროვოს $9,5\%$ -მდე
ძმარმეურა. ბაქტერიები $(1,2\div 2,1)\times 0,4\mu$ ზომისაა და უფრო
ხშირად ცალკეული ჩხირების სახით გვხვდებიან, შედარებით და-
ბალ ტემპერატურაზე ქმნიან მოკლე ჯაჭვებს, მაღალ ტემპერატუ-
რაზე კი ჯაჭვი ისევ იშლება.

A. Schutzenbachii—უფრო მოგრძო ჩხირებია, ინვითარებს
ძალიან სუსტ აფკს, ხშირად არა მთელ ზედაპირზე, არამედ კუნ-
ძლების სახით. არეში შეუძლია დააგროვოს $11,5\%$ ძმარმეურა.
უძლებს 14% მეავასა და 15% ალკოჰოლს. ეს კულტურა ფართო-
დაა გამოყენებული მრის წარმოებაში. აფკის წარმოქმნის დაბალ
უნარიანობას სწრაფი წესით ძმრის წარმოების პირობებში დიდი



მნიშვნელობა არა აქვს, რადგან აქ კულტურა დასახლებულება
ბურბულებაზე.

A. euryum—კიდევ უფრო დიდი ზომისაა, მეტწილად მო-
დუნული (მრუდე) ჩინის ფორმა აქვს, ფიზიოლოგიურად ძალი-
ან წააგავს შუტცენბახის ბაქტერიას. მისი მოქმედების ოპტიმალუ-
რი ტემპერატურა $36,5^{\circ}\text{C}$. იგი უძლებს 14% -მდე კონცენტრაციის
ძმარმებას და 15% -მდე სპირტს. ეს კულტურა ჯერჯერობით
კარგად არ არის შესწავლილი. მაგრამ იგი შუტცენბახის ბაქტერიას-
თან გაერთიანებული კულტურის სახით კარგ შედეგებს იძლევა
მაღალი კონცენტრაციის ძმრის მწარმოებელ გენერატორებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძმარმება ბაქტერიების
ფვისებები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შეუცვლელი, არა-
მედ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს თვისებები სუბ-
სტრატთან აკლიმატიზაციის შედეგია. ასევე იცვლება ბაქტერიე-
ბის ფორმა და ზომები სუბსტრატის, ასაკისა და ტემპერატურის
მიხედვით. ამიტომ ბაქტერიების გამოსაცნობად საკმარისი არ
არის მარტო მიკროსკოპირება, არამედ საჭიროა მათი ყოველგვა-
რი შემოწმება.

სუბსტრატი, რომელშიაც უხდებათ მოქმედება ძმარმებაური
დუღილის ბაქტერიებს, ძმრის წარმოებაში, შედგება წყლის, სპირ-
ტისა, ძმარმებასა და ჰაერისაგან. იგი უნდა შეიცავდეს აგრეთვე
აღვილად ასათვისებელ ფორმაში მყოფ ნახშირწყლებს, აზოტს, მინე-
რალურ მარილებს.

წყალი უნდა იყოს სასმელი; ორგანული ნაერთებით მდიდა-
რი ტბისა და გუბის წყლის ხმარებით შეიძლება ინფექციის შეტა-
ნა წარმოებაში, სხვა მხრივ კი იგი მავნებელი არ არის, პირი-
ქით შეიცავენ რა საკვებ ნივთიერებებს, შეიძლება დადებითი გავ-
ლენაც იქონიონ წარმოებაზე.

იგივე ითქმის საკვებ ნივთიერებათა სუბსტრატში შეტანის
შესახებ, ღვინის, ლუდის, ალაოს გამონაწვლილის, საფუვრის ავტო-
ლიზატორის ან ხილის წვენების სახით. თუ ამ აღნიშნულ მასალებს
სუბსტრატში შევიტანთ გაუსტერილებად, შეიძლება გაფავრცელოთ
ძმრის წარმოებისათვის ძალწე არა სასურველი მიკროფლორა,
ქვებითი ღირებულების თვალსაზრისით კი ძმარმება ბაქტერიები-
სათვის ეს საკვები უკეთესია, ვიდრე მარილების სახით დამატე-
ბული აზოტი, კალიუმი, ფოსფორი ან სხვა ელემენტები.

სპირტს ძმარმება მიკროორგანიზმები 15% - კონცენტრა-
ციამდე უძლებენ. ზოგი სახეობა თავის ცხოველმოქმედების წყვეტს

სპირტის 6-7% კონცენტრაციის დროს, უმეტესობა კი 11-13% კონცენტრაციას.

რახის ზეთებით მდიდარი სპირტი უარყოფით გავლენას ახდენს ძმარმეთა ბაქტერიებზე.

ძმარმეთური დუღილის ბაქტერიები კიდევ უფრო ნაკლებად ეგუებიან ძმარმეთა, ვიდრე სპირტს. ზოგი სახეობისათვის ზღვარს წარმოადგენს 2%, ძმარმეთა შემცველობა სუბსტრატში, ზოგი ცოცხლობს 10%, ძმარში, მოოლოდ A. Schützenbachii და A. curvum უძლებენ 12-14%, ძმარს. ეს თვისება კარგადაა გამოყენებული ძმარმეთური დუღილის ბაქტერიების ამ სახეების სელექციისათვის ძმრის გენერატორებში. სხვა ორგანული მეავები ძალზე უარყოფით გავლენას ახდენენ ძმარმეთური დუღილის ბაქტერიებზე.

ჰაერი ძმარმეთა მიკროორგანიზმებისათვის საჭიროა, როგორც ჟანგბადის წყარო. ამავე დროს ჟანგბადის პარციალური წნევა ჰაერში გავლენას არ ახდენს დაფანგვის პროცესზე, რაც ჰაერში ჟანგბადის შემცველობის გაზრდის საშუალებას იძლევა. ეს უკანასკნელი კი ამცირებს გენერატორში გასატარებელი ჰაერის საჭირო რაოდენობას, რითაც მცირდება დანაკარგები.

სუბსტრატის ტემპერატურას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძმარმეთა ბაქტერიების ცხოველმყოფელობისათვის.

6-10°C—უფრო დაბალ ტემპერატურაზე ძმარმეთა ბაქტერიების თითქმის ყველა სახეობის ცხოველმოქმედება წყდება. უფრო მაღალ ტემპერატურაზე შეიძინება თანდათანობითი გამოცოცხლება და 28-30°C—მიჩნეულია ძმარმეთური დუღილის ბაქტერიების დიდი ცმრავლების (მათ შორის Acetobacter Schützenbachii) ინტიმალურ ტემპერატურად. Acetobacter curvum - ის კოპტიმალური ტემპერატურა მდებარეობს 35-37°C შორის.

უფრო მაღალი ტემპერატურა თანდათანობით ანელებს და 40-50°C—მთლიანად წყვეტს ძმარმეთურის დუღილის ბაქტერიების ცხოველმოქმედებას. ამასთან სუბსტრატში, ძმარმეთა შემცველობა ტემპერატურისადმი ბაქტერიების გამძლეობას აძლიერებს.

მზარდებაური დუღილის პრაქტიკული განხორციელებას ფორმები ძმრის მისაღებად

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ძმარმეთური დუღილის ბაქტერიები ტიპობრივი აერობული ბაქტერიებია. ამიტომ ძმარმეთური დუღილის პრაქტიკული განხორციელებისათვის საკმარისია ძმარ-



ეაური დუღილის ბაქტერიები დავასახლოთ რაიმე სუბსტრატების ზედაპირზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ჰაერთან შეხება. სუბსტრატი აირჩევა იმის მიხედვით თუ ძმარმეაური დუღილის რომელ რასასთან გვაქვს საქმე და რა პროდუქტების მიღება გვსურს ოღნიშნული პროცესის მეშვეობით.

ძმრის მისაღებად, მაგალითად, ხმარობენ სპირტის შემცველ ხსნარებს: ღვინოს, ლუდს, ხილის წვენებს (დაღულებულს ან დასპირტულს) და სხვ.

ძმარმეაური დუღილის პრაქტიკული განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰაერთან შეხების ზედაპირის გაზრდას, რადგან სხვა თანაბარ პირობებში, პროცესის სიჩქარე დამოკიდებული იქნება იმ აქტიური ზედაპირის სიდიდეზე, სადაც ჰაერი ეხება დასაძმარებელ სუბსტრატს და სადაც თავმოყრილი ძმარმეაური დუღილის ბაქტერიები განახორციელებენ სპირტის დაუანგვას ძმარმეავამდე.

ძმრის წარმოებაში ძმარმეაური დუღილის გასახორციელებლად ხმარობენ საძმრე გენერატორებს. საძმრე გენერატორები მათი აქტიური ზედაპირების ხასიათის მიხედვით იყოფიან ორ ჯგუფად—მარტივ და რთულ გენერატორებად.

ასეთი დაყოფა პირობითია. მარტივ გენერატორებს უუშოდებთ ისეთ გენერატორებს, რომლებშიც ხელოვნურად არ ხდება აქტიური ზედაპირის გაღიდება. რთული კი—ისეთი გენერატორებია, სადაც აქტიური ზედაპირის გასაღიდებლად გამოყენებულია სპეციალური საშუალებები: დიდი (განვითარებული) ზედაპირის მქონე სხეულების რწყვა დასაძმარებელი სუბსტრატით ან მისი (სუბსტრატის) გაშეხვება ჰაერში ბურუსის სახით.

ბუნებრივია, რომ მარტივი გენერატორების გამოყენებას ძმრის წარმოებაში დიდი ისტორია აქვს და ამ წესით ძმრის დამზადება ყველაზე ძველ წესად ითვლება. იგი ლიტერატურაში ცნობილია ორლეანური წესის სახელწოდებითაც. ეს წესი და თვით გენერატორი მართლაც ძალიან მარტივია: რაიმე თავლია ჭურჭელში ჩასხმულია დასაძმარებელი სითხე, რომელსაც თავისი უფლად ეხება ჰაერი და საშუალებას აძლევს ძმარმეავა ბაქტერიებს დაეანგოს სპირტი ძმრამდე. ვინაიდან ძმარმეავა ბაქტერიები აერობული ბაქტერიებია, ამიტომ მათი მოქმედება ხდება მხოლოდ იმ ადგილზე, სადაც სითხე ეხება ჰაერს, ასეთი ზედაპირი კი ჩვეულებრივ ჭურჭელში (კასრში, კოდში) ძალიან მცირეა, რაც იწვევს დაძმარების პროცესის გაჭიანურებას 2—3 თვემდე. ამიტომაც ამ წესს ეწოდება ძმრის დამზადების ნელი წესი. მარტივი გენერატო-



რების კონტრუქციული მხარე განხილულია გვ. 56. ძმრის წარმოების გაფართოებასთან ერთად საჭირო შეიქმნა დამმარების პროცესის დაჩქარება, რისთვისაც საჭირო იყო აქტიური ზედაპირის გაზრდა-აქტიური ზედაპირი ეწოდება იმ ზედაპირს, სადაც ჰაერი ეხება დასამარებელ სითხეს, ე. ი. ზედაპირს, სადაც მიმდინარეობს და-მმარების პროცესი.

ბურბუშელაზე გადასხმისას დამმარებული მასალა გაიშლება თხელ ფენად ბურბუშელის ზედაპირზე და ამით ჰაერთან უხვად შეხების საშუალება მიეცემა. ამ პირობებში დამმარება უფრო ჩქარა მოხდება, რადგან აქტიური ზედაპირი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგივე მოცულობის სითხე მოთავსებულია რაიმე ჭურჭელში, ვთქვათ კასრში.

აქტიური ზედაპირის გასაღილებულად იხმარება არა მარტო ბურბუშელა, არამედ რიგი ფორმვანი და დიდი ხვედრითი ზედა-პირის მქონე მასალებიც: ნახშირი, ბემზა, კოქსი, ფიჩის კონა, სი-მინდის კოტა, თიხის რგოლები (რაშიგის რგოლები) და სხვ.

მართალია ჩამოთვლილ მასალებს დიდი ხვედრითი ზედაპირები აქვთ, მაგრამ მთელი ხვედრითი ზედაპირი არ შეიძლება ჩაი-თვალოს აქტიურ ზედაპირად, რადგან წვრილი ფორმები, რომლებიც ამოიგებიან სითხით, მოკლებულნი არიან ჰაერთან შეხებას. ამ დარგში მომუშავე მკვლევარები ამტკიცებენ, რომ აქტიური ზედაპირი ხვედრითი ზედაპირის დაახლოებით 20% შეადგენს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ ზედაპირულად აქტიური მასა-ლების მეორე თვისება. სახელდობრ, თავის ზედაპირზე სითხის შეკავების თვისება. ეს თვისება მდგომარეობს შემდეგში: ბურბუ-შელაზე წყლის გადასხმისას, ამ წყლის დიდი ნაწილი თხელ ფენად განაწილდება და ბურბუშელაზე დარჩება, მცირე ნაწილი კი, რომლის შეკავება ბურბუშელას უკვე აღარ შეუძლია, ჩამოილვრება ბურბუშელიდან. თუ შევადარებთ სხვადასხვა მასალის მიერ თავის ზედაპირზე შეკავებულ სითხის რაოდენობებს, ასეთ სურათს მივი-ღიბთ

1მ³—წონა კგ—ბით	სითხის შეკავე- ბის უნარი ლ/მ³
--------------------	-------------------------------------

წიფლის ბურბუშელა . . .	180—225	360—450
არყის ხის ბურბუშელა . . .	160	200
ხის ნახშირი	240	280
პ ე მ ზ ა	430	260—370
კ ო ჯ ს ი	450	80



ფიჩის კონა	50—60	25—30	ეროვნული სამსახურის
სიმინდის კოტა	130—160	350—430	

ბურბუშელას ან სხვა დიდი ზედაპირის მქონე მასალას, ხშირად, გენერატორის შემავსებელ მასალასაც უწოდებენ.

ძმრის წარმოების პრაქტიკაში ჯერჯერობით ყველაზე გავრცელებულია ბურბუშელა. მცირე ტევადობის გენერატორებში იგი მართლაც ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ დიდი ტევადობის გენერატორებში (20—30 მ³) თავისი წონით ძლიერ იტკეპნება და აქტიური ზედაპირის დიდ ნაწილს კარგავს. ასეთი დიდი გენერატორების მშენებლობა ძმრის წარმოებაში მხოლოდ ეხლა შემოდის და ამიტომ შემავსებელი მასალების საკითხი ჯერ კიდევ ზუსტად არ არის შესწავლილი.

თბილისის ახალი ძმრის ქარხნის პრაქტიკაში დაგვანახა, რომ სპეციალური ღონისძიებების მიღების გარეშე ბურბუშელა იმდენად იტკეპნება, რომ ერთი ორად მცირდება გენერატორის მწარმოებლობა და იზრდება დანაკარგები.

წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით უნდა ვითიქროთ, რომ დიდი ტევადობის გენერატორებში ბურბუშელის ადგილს დაიჭირს პემზა ან ხის ნახშირი; საჭიროა ამ მასალების მედევობის გამოცდა მაღალკონცენტრირებულ ძმრის არეში.

რთულ გენერატორებში დაძმარების პროცესი შეიძლება ვაწარმოოთ სხვადასხვა წესით, ე. ი. პრინციპულად ერთი და იგივე პროცესი სხვადასხვა ტექნოლოგიური რეჟიმითა და სხვადასხვა კონსტრუქციის გენერატორებით განვიხილოთ.

ასეთი ტექნოლოგიური რეჟიმი (წესი) რამდენიმეა:

ემრის დამზადების იმერსიული წესი წარმოადგენს უფრო გაუმჯობესებულ და შედარებით მაღალი მწარმოებლობის წესს, ვიდრე ძმრის წარმოება მარტივ გენერატორებში. იმერსია უცხო სიტყვა და ქართულად ნიშნავს ჩაძირვას. ძმრის დამზადების განსახილველ მეთოდს იმერსიული დაერქვა იმიტომ, რომ აქ საქმე გვაქვს დასაძმარებელ სითხეში ბურბუშელის დროდადრო ჩაძირვასთან. ვინაიდან ბურბუშელის დიდი ხვედრითი ზედაპირი აქვს, ამიტომ მასზე თხელ ფენად დარჩენილ სითხეს, ბურბუშელის სითხიდან ამოღების შემდეგ, ჰაერი უხვად ეხება და ძმარმქავა ბაქტერიები მაღლ ასერხებენ მის დაძმარებას, თუ ამის შემდეგ ბურბუშელის ჩავუშვებთ დასაძმარებელ სითხეში, მაშინ მოხდება კონცენტრაციის გათანაბრება, ბურბუშელაზე წარმოებულ ძმარსა და სითხეს შორის; ბურბუშელის სითხიდან ხელახლა ამოღებით დაძ-

ზარდება ახალი ულუფა და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ ჰავსტორება
ძმარებელ სითხეში არ გამოილევა სპირტი.

იმერსიული გენერატორები მრავალი სახისაა.

დმრის წარმოების სწრაფი წესი იმერსიული წესის
სახეშეცვლილი ფორმაა. აქაც დაუანგვითი ზედაპირის გასაღიდებ-
ლად იმარება ბურბუშელა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბურ-
ბუშელა კი არ იძირება დასაძმარებელ სითხეში, არამედ იგი
ირწყვება დასაძმარებელი სითხით. რწყვა ხდება ისეთი ინტენ-
სიონით, რომ სითხე ბურბუშელიდან ღვარად კი არ ჩამოდიოდეს,
არამედ ნელა წვეთდეს. ამისათვის მოწყობილია სპეციალური
სტაციონარული გენერატორები, რომელთა უპირატესობას
შეადგენს საწარმოო სათავსოს უკეთესი გამოყენება და უფრო მა-
ლალი მწარმოებლობა გენერატორის მოცულობის 1მ³-ზე. დმრის
მრეწველობაში ეს წესი ყველაზე გავრცელებულია.

დიდი დანამატების წესიც მრავალი სწრაფ
წესად ითვლება, მხოლოდ აქ შეცვლილია ბურბუშელის რწყვის ოე-
ჭიმი. თუ სწრაფი წესით მუშაობის დროს დასაძმარებელი მასა
მთელი დღელამის განმვლობაში თანაბარი სისწრაფით ესმება
ბურბუშელას, ვთქვათ ყოველ საათში ან ყოველ ორ საათში, დიდი
დანამატების წესით მუშაობის დროს ბურბუშელას ვრწყავთ სულ
ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ, სამაგიეროდ თითო დასხმაზე ვას-
ხამთ შესაბამისად მეტი რაოდენობის დასაძმარებელ სითხეს.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს წესი იქნა შემუშავებული. მა-
სი ავტორი—მ. გ. ანენკოვი—აღნიშნავს, რომ ამ გზით მიიღ-
წევა დანაკარგების შემცირება და გენერატორის მწარმოებლობის
გაზრდაც.

ყოველ შემთხვევაში ეს ახალი წესია და მრეწველობაში
ჯერ ფართოდ არ არის დახერგილი. ამ წესით მუშაობები მცირე-
ტევადობის სატაციონარულ გენერატორებზე.

დმრის წარმოების ცირკულაციური წესით შეიძლება ვიმუშაოთ როგორც მცირე
ტევადობის ($1,0 \text{ m}^3$) სტაციონარულ გენერატორებზე, ისე დიდი
($20-30 \text{ m}^3$) ტევადობის გენერატორებზე, რომლებიც უკეთესი სახმა-
რია დიდ ქარისნებში, ტემპერატურული რეჟიმის ავტომატური დაც-
ვით.

ეს წესი ითვალისწინებს დასაძმარებელი მასის გამუდმებულ
ცირკულაციებს ბურბუშელაში, სანამ მთელი მასა არ დაძმარდება.
თუ განხორციელებულია ცირკულაციის სისწრაფის ავტომატური რე-
გულირება, მაშინ ამ წესით მუშაობა ძალიან კარგ შედეგებს იძლევა.



დღელამეში ყოველი კუბ. მეტრი ბურბუშელიდან შეიძლება მივთვათ 4 კგ-მდე ძმარმებავა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება მაგრა წარმატობას, რომელსაც იძლევა ძმრის სწრაფი წესით წარმოება.

ამ წესზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, რადგან თბილისის ახალი ძმრის ქარხანა მუშაობს ამ წესით.

ძმრის წარმოები გამოგონილია ძმრის წარმოების ახალი წესი, რომელიც განსხვავდება ყველა ზე-მოთ აღნიშვნული წესისაგან, იმით რომ არ საჭიროებს ზედაპირის გამადიდებელ რაიმე სამუალებას (ბურბუშელა, კოქსი, პემზა, ფიჩი და სხვა).

ეს წესი გულისხმობს დასამარებელი ნაზავის გაშეფებას პერმეტულ ჭურჭელში, რომელშიც შემვებულია განსაზღვრული რაოდენობის გაფილტრული ჰაერი ან ჟანგბადი. სითხის წვრილი წვეთები, ბურუსის სახით, უხვად ეხება ჰაერს, ნელნელა ეშვება ჭურჭლის ფსკერზე და იქანგება. დაფანგვა ხდება ძმარმება ბაქტე-რიებით, რომლებიც წინასწარ შეტანილია დასამარებელ ნაზავში. პროცესი მიმღინარეობს 20—35°C-ზე, რომელსაც ზუსტად იცავენ თერმორეგულატორებით.

ეს წესი ჯერ გავრცელებული არ არის არც ჩეენში და არც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ძმრის თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სქემა (ნახ. 1) შეიცავს ძმარმებაური დუღილის პრაქტიკულად განხორციელებისა და პროცესის ავტომატური მართვის უახლეს შილწევებს.

ვედლეული და დამხმარე გასალები

ნ ე დ ლ ე უ ლ ე

ძმრის დასამზადებლად იხმარება საძმარე ნაზავი, რომელიც უნდა შეიცავდეს ოოგორც ალკოჰოლს, აგრეთვე საკეებ ნივთა-ერებებს ძმარმება ბაქტერიებისათვის. ასეთი ნაზავის შესაქნელად იხმარება ლვინო, სპირტი, ალკოჰოლის შემცველი სხვა სითხეები (ლუდი, ვაშლის ბურახი და სხვა), წყალი და საკეები ნივთიერებანი.

ლ ვ ი ნ ო საუკეთესო ნედლეულია ძმრის დასამზადებლად, მას აქვს საქმარისი ალკოჰოლიანობა ($9-14\%$), რაც უზრუნველყოფს მაღალი კონცენტრაციის ძმრის მიღებას და შეიცავს ძმარ-მება ბაქტერიების გასამრავლებლად საჭირო ყველა საკეებ ნივთი-ერებას.

ლვინის ხარისხის მიმართ ძმრის წარმოება განურჩეველია, მხოლოდ ლვინოს არ უნდა ახასიათებდეს რაიმე ბაქტერიული და-ავადება (ძმარმებაური დუღილის გარდა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ინფექცია წარმოებაში და რაიმე ძლიერი, არასასიამოენო

სუნი ან გემო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მომავალი მონაცემების გემურ თვისებებზე.

ბაქტერიული დაავადების მქონე ლვინოს უნდა გაუკეთდეს სტერილიზაცია, დიდი სიმღვრივის მქონე ლვინო კი უნდა გაიფილტროს, რათა არ გამოიწვიოს ბურბუშელის (ან სხვა შემავსებელი მასალის) ფორების ამოვსება. გარეშე გემოს მქონე ლვინო უნდა დამუშავდეს ნახშირით, მაგრამ ეს საშუალება ყოველთვის კარგ შედეგს არ იძლევა.

მნიშვნელობა არა იქვს აგრეთვე ლვინის ფერსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ თეთრი და წითელი ლვინის ისეთი პროპორციით ხმარებას, რომ სარეალიზაციო ძმარი მუდამ ერთნაირი ფერის იყოს. მხა ძმრის ფერის შესწორებაზე შეიძლება ვიზრუნოთ როგორც უშუალოდ სარეალიზაციო კონდიციაში მიყვანისას, აგრეთვე დასაძმარებელი კუპაჟის შედგენის დროსაც.

სპირტი ძმრის წარმოებაში იხმარება, როგორც დასაძმარებელი ნაზავის კონდიციის შესასწორებელი საშუალება. რა ნედლეულიდანაც არ უნდა დავამზადოთ ძმარი, ნედლეულს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საჭყისი კონცენტრაცია სპირტისა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო კონცენტრაციის მქონე ძმარმებას მიღებას. ვინაიდან ნედლეულში ყოველთვის არა გვაქვს იმდენი ალკოჰოლი, რაც საჭიროა დასაძმარებელი ნაზავისათვის, ამიტომ ვახდენთ სპირტის დამატებას.

ძმრის წარმოებაში შეიძლება ვინაიდან როგორც რექტიფიცირებული, აგრეთვე ნედლი სპირტი, რომელიც უნდა აქმაყოფილებდეს გოტ 131—50, გოტ 5962—51 მოცემულ ტექნიკურ პირობებს.

წყალი ძმრის წარმოებაში გამოიყენება ორი დანიშნულებით: როგორც ნედლეული და როგორც ტექნიკური საშუალება ტექნიკურული რეჟიმის, სანიტარული პირობებისა და სხვათა მოსაწესრიგებლად.

წყალი, როგორც ნედლეული, ძმრის წარმოებაში უნდა აქმაყოფილებდეს სასმელი წყლისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს. სხვა რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს ძმრის წარმოება წყალს არ უყენებს. ის აზრი თითქოს წყლის მომეტებული სიხისტე ანეიტრალებდეს ძმრის მევიანობას და ამით ზიანს აყენებდეს წარმოებას პრაქტიკულად მოკლებულია საფუძველს, რადგან სიხისტის ერთგრადულს შეუძლია შეამციროს ძმრის კონცენტრაცია $0,002\%$ -ით. აბილისის წყალს, მაგალითად, შეუძლია შეამციროს ძმრის



ქონცენტრაცია 0,025% -ით, რაც 100000 დეკალიტრი ძმარმებულების შეადგენს 10—12 კგ უწყლო ძმარმებას წელიწადში. ასეთი მცირე დანაკარგის აღრიცხვაც კი გაგვიძნელდებოდა.

ს აკეთები ნივთიერებანი. ძმარმება ბაქტერიებს თავისი ორგანიზმის შენებისა და ცხოველმყოფელობისათვის ესაჭიროებათ შექარი, აზოტოვანი ნივთიერებანი, მინერალური მარილები, ფოსფორი, კალიუმი; ამიტომ დასაძმარებელ ნაზავში უნდა შევიტანოთ ყველა ეს ნივთიერება, რამე ნაერთების სახით.

აზოტი შევგაქვს — ამონიუმის მარილების სახით, ვთქვათ, გოგირდმება ამონიუმის სახით, ფოსფორი — სუპერფოსფატისა და კალიუმი — პოტაშის სახით.

ყველა ეს ნაერთი ფართოდ გამოიყენება ტექნიკაშიც, სოფლის მეურნეობაშიც და ამიტომ კარგად არიან ცნობილი.

სხვა ნედლეული და ან ძმრის საწარმოებლად გავრცელებულია ლუდი, ხილეული წარმოშობის ლვინოები და საერთოდ ამ მიზნისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ალკოჰოლის შემცველი ყველა სითხე.

ლუდი, ყურძნის ლვინო ან სხვა ხილეული წარმოშობის ნედლეული თანდათან გამოდის ხმარებიდნ, რადგან ძმრის წარმოება დღითიდღე ფართოვდება და ამ მასალებიდან დამზადებული ძმარი კი ძვირი ჯდება.

ისინი — როგორც ძმრის წარმოების ნედლეული — შემორჩენილი არიან ისეთ მხარეებში, სადაც ძალზე ბევრი ლვინო მზადდება და ამ გზით რჩება ისეთი ნარჩენები, რომლის გამოყენება ძმრის წარმოებაში რენტაბელურია. სხვა შემთხვევებში მათ ადგილს თანდათან იკავებს სპირტი, რომლილანაც დამზადებული ძმარი 5—10 ჯერ უფრო იაფი ჯდება. სამაგიეროდ, ლვინიდან და ლუდიდან დამზადებული ძმარი მეტად მაღალი ხარისხისაა და მას ვერ შეეძლება სპირტიდან დამზადებული ძმარი ვერავითარი გაუმჯობესების შემდეგაც კი. ასეთმა, წმინდა საგემოვნო კრიტერიუმაც შეიძლება იმოქმედოს მათ სასარგებლოდ, რადგან ძმარი, ძირითადად საგემოვნო პროდუქტია.

დამხმარე მასალები

დამხმარე მასალებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს დასახული მასალები (საცობი, კაფსული, „კრონენკორკა“). სითხისა და აირის გაუმტარობის გარდა, ძმრის წარმოებაში სახმარ დასაბულებები მასალებს მოეთხოვებათ აგრეთვე მაღალი მედეგობა ძმარმებისადმი.

კორპის მუხის ქერქისაგან დამზადებული საცობი ამ მოთხოვდება ნებს აქმაყოფილებს, მაგრამ სასურველია მისი შეცვლა, როგორც მოთხოვდება საიმპორტო საქონლისა, სხვა მასალებით. ზოგიერთ ქარხანაში წარმატებით იყენებენ ცელოფანის კაფსულებს, რომლებიც კარგად უძლებენ 9—10%-იან ძმარმეავას. ამ მიზნისათვის ლითონის „კრონენკორპის“ ხმარებაც შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით, თუ მას დაფარავთ მეავაგამძლე ლაქით და დავუდებთ კორპის საფენს.

ს ო და ძირითადი საშუალებაა სტაციონარული და სატრანსპორტო ჭურჭელის დასარეცხად და, აგრეთვე, სათავსოს გასასუფთავებლადაც. სოდა (Na_2CO_3) უნდა იყოს თეთრი, ფხვიერი, წყალში უნაშთოდ უნდა იხსნებოდეს, 250°C -მდე გახურებისას წონაში 4%-ზე მეტს არ უნდა ჰქარგავდეს და სუფთა ნატრიუმის კარბონატს (Na_2CO_3) უნდა შეიცავდეს არანაკლებ $98\%_0$ -ისა.

მარილი (NaCl) ძმრის წარმოებაში იხმარება, როგორც ძმრის ანგულემას (უგრების, ძმრის მატლის) წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, რომლებიც იხოცებიან მარილის $2\%_0$ -იან ხსნარში. ვინაიდან მარილი უშუალოდ შევავქვს ანგულემით დაავადებულ ძმარში, ამიტომ მისი ხარისხი უნდა აქმაყოფილებდეს საკვები მიზნებისათვის ხმარებულ მარილისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

დამხმარე მასალებშივე ჩაითვლება ძმრის გასაწმენდად საბმარი მასალები: უელატინი, თევზის წებო, რძე, სისხლის ყვითელი მარილი, ნახშირი, აზბესტი და სხვ.

თევზის წებო მზადდება ზოგიერთი ჯიშის თევზის (თორუჯი, თართი, ლოქო და სხვა) ბუშტებისაგან. გასაყიდად უშემდებენ 2 მმ სისქის ფირფაიტების სახით (20×40 სმ). ფირფაიტები უნდა იყოს მზრალი, ნახევრად გამჭვირვალე, დაუჭმუჭმავი, მეორე ხარისხის წებოსათვის დასაშვებია უმნიშვნელო დაჭმუჭნილობა და ნაპირების დახლება. ფერით მოთეთრო-მოყვითალო, არ უნდა ჰქონდეს გარეშე სუნი და გემო.

კვერცხის ცილაც შეიძლება გამოვიყენოთ ძმრის გასაწმენდად, ოლონდაც კვერცხი ახალი უნდა იყოს. გაანგარიშების დროს ერთი კვერცხის ცილას 25—30 გრამად თვლიან.

რძეს ხმარებენ ძმრის ფერის გასაუმჯობესებლად, შმორის, ობისა და ჭურჭლის ხელის მოსაშორებლად. ახალ რძეს შეუძლია ცხიმით გაამდიდროს ძმარი, ამიტომ უნდა ვიხმაროთ მოძილი რძე. კარგ შედეგს იძლევა რძისა და უელატინის კომბინირებული ხმარება. რძის მაგივრად ხშირად კაზეინსაც ხმარობენ ხოლმე.



76°C ა 76°C ი ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი
საშუალებაა ძმრის გასაწებავად. იგი მზადდება ცხოველთა როტო-
ლებისა, ძარღვებისა და ტყავის ნაფხვებისაგან; უფერული ან
ლია ყვითელი ფერისაა. 76°C—წყალში უნაშონდ იხსნება, რეაქცია
ნეიტრალური ან ოდნავ მჟავე აქვს.

სისხლის ყვითელი მარილი $K_4Fe(CN)_6 \cdot 3H_2O$ იხსმარება
მძიმე ლითონებისა და განსაკუთრებით რკინის გამოსალეჭავად.
მისი მოლეკულური წონა $M=422,34$; ერთი გრამი სამვალენტო-
ვანი რკინის გამოსალეჭავად იხარჯება 5,672 გრ სისხლის ყვითელი
მარილი. კარგ შედეგს იძლევა სისხლის ყვითელი მარილით ძმრის
დამუშავება გაშეგვასთან ერთად.

ნახშირი გარეშე გემოსი, სუნისა და ფერის მოსაცილე-
ბელი საშუალებაა. მის ხმარებას უკიდურეს შემთხვევაში უნდა
მიემართოთ, რადგან იგი ძმარს ართმევს ყოველგვარ არომატს
და გემოს. განსაკუთრებით უნდა ცერიდოთ მის ხმარებას. ლვინის
ძმარზე ან არომატულ და ნაყენ ძმრებზე, სადაც განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია ძმრის გემოვნებისა სპეციფიკური სურნელების
შენარჩუნება.

გაძტივებული ნახშირი მზადდება ნისაგან ან ცხოველთა ძლევ-
ბისაგან. ცხოველური ნახშირი 5-10-ჯერ უფრო აქტიური ადსორ-
ბენტია, ვიდრე ხის ნახშირი, მაგრამ წარმოების პირობებში ხის
ნახშირიც კარგ შედეგებს იძლევა. აქტიური ნახშირი მეტწილად
ვერხვის ხისაგან მზადდება.

აზგესტი—ძმრის გასაფილტრად იხსმარება. იგი მინერა-
ლური წარმოშობისაა (ხრიზოტილი). ფილტრებში საბმარ აზბესტის
ხშირად 50%-ზე უმცეს უჯრედანას, რაც ძმრის წარმოებაში
სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა. აზბესტი უნდა იყოს
თეთრი, არ უნდა შეიცავდეს რკინას 10 მგ-ზე მეტს, მას არ უნ-
და ჰქონდეს გარეშე სუნი და გემო.

ძმრის წარმოების ტექნიკოგია

როდესაც ძმრის წარმოების ტექნიკოგიაზე ვლაპარაკობთ,
მხედველობაში გვაქვს ძმრის წარმოების ერთი რომელიმე გარევეუ-
ლი წესი და მისი აღწერით ვეცნობით ძმრის წარმოებას საერ-
თოდ.

ასეთ წესად ჩვენ მიგვაჩინია ძმრის წარმოების ცირკულაციუ-
რი წესი დიდი ტევადობის სტაციონარულ გენერატორებში, ვინა-

იდან ძმრის წარმოების ეს წესი შეიცავს ტექნოლოგიის ყველა ელემენტს და მისი აღწერით გაშუქებული იქნება ძმრის დამზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ცხადია უფრო მარტივი წესის გარჩევისას ამ მიზანს ვერ მივაღწევდით.

ამის გარდა, ძმრის ცირკულაციის წესით წარმოება დიდი ტევადობის სტაციონარულ გენერატორებში საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და წარმოების მართვისა და კონტროლის ავტომატიზაცია, რომელთა აღწერა ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორც ძმრის, აგრეთვე სხვა ოპინიული პროდუქტების დამამზადებელ საწარმოთა მუშაკთათვის.

ის მცირე, ტექნიკური ხასიათის განსხვავებანი, ან ტექნოგიური მოწყობილობების ნაირსახეობა, რომელიც ანსხვავებენ ძმრის წარმოების ერთ წესს მეორისაგან, მხედველობაში მიიღება და გზადაგზა განმარტებული იქნება შედარებების სახით იმ წესთან, რომლის აღწერაც ძირითადად იქნება მოცუმული ტექნოლოგიაში.

გენერატორის მომზადება საექსპლოატაციოდ

გენერატორის მომზადებად იგულისხმება გენერატორის ყოველმხრივი შემოწმება, ბურბუშელის ჩაყრა და სტერილიზაცია, საპარავო, სამაციერო და საცირკულაციო კომუნიკაციების ჩართვა. ელექტრომოტორების, სასიგნალო და საკონტროლო ხელსაწყოების ჩართვის სისწორე, სეგნერის ბორბლის მდგომარეობა და სხვ.

გენერატორების დათვალიერება-შემოწმების დროს ყურადღება უნდა მიექცეს:

1. გენერატორის მდებარეობას: იგი უნდა იდგეს 30–40 სმ სიმაღლის კოჭებზე, რათა შესაძლებელი იყოს გენერატორის ფსკურის დათვალიერება;

2. გენერატორის ქვედა ონჯანი, საიდანაც ხდება სითხის ცირკულაცია და მზა ძმრის გადმოლება, მოთავსებული უნდა იყოს ცენტრიდანულ ტუმბოზე უფრო მაღლა, რათა ტუმბო მუდამ სავსე იყოს სითხით.

3. გენერატორის საერთო მოპირკეთებას მუავაგამძლე მასალით (ხის გენერატორის შემთხვევაში სპეციალური ფისით), რომელიც გენერატორის მთელ ზედაპირს და დაცხრილულ ტიხეებს მთლიანად უნდა ფარავდეს თხელი, თანაბარი ფენით;



4. გენერატორი უნდა შემოწმდეს წყლის გაუმტარობულების სათვის იგი უნდა აივსოს წყლით საპარკო ხვრეტამდე. თუ წყალი საღმე ქონავს, ის ადგილი მაშინვე უნდა დავნიშნოთ და შევაკეთოთ, თორებ ცოტა ხნის შემდეგ ხე გაიღლინობა და დენადობა თვითონ შეწყდება. დენადობის ასეთი შეწყვეტა ჩვენთვის სასურველი არ არის, რადგან ეს მოწმობს გენერატორის მეავაგამძლე საფარის უხარისხობას. იმ ადგილებში, სადაც მუავაგამძლე საფარს წყალი გაეპარა, შემდეგში ძმარი გაეპარება, დაშლის ხეს და დენადობა თანდათან იმატებს;

5. შემდეგ უნდა გაყზომოთ გენერატორის სრული მოცულობა, სითხის შემკრები ნაწილისა და ბურბუშელის მოსათვესებელი ნაწილის მოცულობები. ეს სიდიდეები შეიტანება გენერატორის პასპორტში.

6. შემდეგ ჩაიდგმება ქვედა ტიხრი და ჩაიყრება ბურბუშელი (ბურბუშელის მომზადება იხ. ქვემოთ) გენერატორის სახურავიდან 30-დან 40 სმ-დე. ეს თავისუფალი არე საჭიროა სეგნერის ბორბლის ბრუნვისა და ჰერის სწორი მოძრაობისათვის ბურბუშელის მთელი ზედაპირიდან უტილიზატორისაკენ.

გენერატორის ცენტრში, პირდაპირ ბურბუშელაში, ჩაურჭობენ დიდ სოლს, რომელსაც სიგრძე უნდა ჰქონდეს 30-დან 50 სმ და განივეკვეთი 10×10 სმ². სოლი კარგად უნდა იყოს დამაგრებული ბურბუშელაში; სოლის ზედა მხარეზე დაამაგრებენ სეგნერის ბორბლის საყრდენ (და საბრუნვა) ცენტრს, რომელიც, ჩვეულებრივად, უქანგავი ფოლადისაგან მზადდება, მაგრამ თუ სეგნერის ბორბალი მინისაა, მაშინ საყრდენსაც მინისაგან აკეთებენ.

7. შემდეგ გენერატორს ახორუვენ სახურავს და უერთებენ საპარკო მილს, რომელიც გენერატორს აერთებს უტილიზატორთან. მოწმდება სახურავის ჰერმეტიზაცია და შეერთების ყველა ადგილი დაიგოზება ფისით.

8. შემდეგ ჩაიდგმება სეგნერის ბორბალი, სწორდება ცენტრზე, დაიხურება საძვრენი და ისიც დაიგოზება ფისით. მოწმდება ნათურისა და პერისკობის მუშაობა, რის შემდეგაც გენერატორი მზად არის საექსპლოტაციოდ.

9. სამუშაოთა ერთი ნაწილი, რომელიც შეიცავს სითხის ცირკულაციის რეგულატორების, თერმორეგულატორებისა და საკონტროლო სიგნალიზაციის კონტროლსა და მოწესრიგებას, სრულდება ხოლმე მხოლოდ ახლად გასაშვებ ქარხანაში. საერთოდ კი გენერატორის გარემონტებისა და სხვა რამე მიზანით ბურბუშელის გამოცვლის დროს ზემოქამოთვლილი ობიექტები უცვლელად რჩება.

ბურბუშელის შემუავება

მას შემდეგ, რაც გენერატორი გამზადდება საექსპლოატაციოდ, დაიწყება მისი ექსპლოატაციაში გაშვება. ეს ძლიერ საბასუნისმგებლო თბერაციაა, რადგან ცუდად ამუშავებული გენერატორი ხშირად იძღვნად ცუდ შედეგებს იძლევა, რომ ხელახლა დასაშლელი ხდება.

იმისათვის, რომ გენერატორში დაძმარების პროცესი შესრულდეს, საჭიროა ბურბუშელაზე დავისახლოთ ძმარმუაური დუღილის ბაქტერიების წმინდა კულტურა. წმინდა კულტურის დასახლებისათვის კი საჭიროა განსაზღვრული პირობების შექმნა: უპირველესად ყოვლისა განსაზღვრული მეავიანობისა და ტემპერატურისა.

დაეიწყოთ ბურბუშელის შემუავებით. ბურბუშელის შესამუავებლად უნდა ავიღოთ რაც შეიძლება მაღალი კონცენტრაციის ძმარი (9—10%), ამის გარდა, ძმარი უნდა იყოს საღი. ანგულების შემცველი ძმარი წინასწარ უნდა დამუშავდეს მარილით (იხ. გვ. 54) და გაიფილტროს.

წინასწარ უნდა გავიანგარიშოთ თუ რა რაოდენობის ძმარი დაგჭირდება ბურბუშელის შესამუავებლად. ყოველ კუბ. მეტრ წიფლის ბურბუშელაზე უნდა ვიგარაულოთ საშუალოდ 400 ლიტ-რი ძმარი. შესამუავებელი ძმრის მომარავების შემდეგ ვკეტავთ ყველა საპარავო ხვრეტს, ვამოწმებთ ჰერმეტიზაციას და ვიწყებთ შემუავებას, რომელსაც ვახდენთ ძალიან ნელა, ისე რომ დღელამეში 1 მ³ ბურბუშელაზე დავასხათ მხოლოდ 50—60 ლიტრი ძმარი, რათა საშუალება მივცეთ ბურბუშელას კარგად შეიწოვოს ძმარი.

ამ სადღელამისო ნორმის დასხმა უნდა ხდებოდეს თანაბრად მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. დღის დანარჩენ ნაწილში და ღამე ძმრის დასხმა არ ხდება. ბურბუშელიდან ჩამოწურული ძმარი გროვდება ცალკე და ნაწილ-ნაწილ გაიშვება სარეალიზაციო კუბაზში. ეს განსაკუთრებით ითქმის ახალი ბურბუშელიდან ჩამოწურულ ძმარზე, რომელიც დიდი რაოდენობით გამოწვლილავს ექსტრაქტოვან ნივთიერებებს და ღებულობს უხეშ გემოსა და არომატს.

შემუავების პროცესი 8—10 და, ხშირად (როცა საქმე გვაქვს ნახმარ ბურბუშელასთან, რომელსაც დიდი სინესტე აქვს), 15 დღესაც გრძელდება. შემუავება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა ჩასხმული და ჩამოწურული ძმრის კონცენტრაცია გათანაბრადება.



შექანიზებულ საწარმოებში და განსაკუთრებით ციფრულფაკტური წესით მომუშავე ქარხნებში უმჯობესია ბურბუშელის შემცვება ვაწარმოოთ ცირკულაციური წესით. ამისათვის გენერატორში ჩაისხმება იმდენი ძმარი, რამდენსაც დაიტევს მისი შემქრები ნაწილი და დაიწყება მისი ცირკულაცია, სანამ ძმრის კონცენტრაცია არ შეწყვეტს კლებას, შემდეგ ამ ძმარს გადმოიღებინ, გენერატორში ჩასახმენ ახალ ძმარს ხელახლა დაიწყებენ ცირკულირებას და ასე შემდეგ მანამდე, სანამ ბურბუშელიდან ჩამონაწური ძმარი საკმაო კონცენტრაციას არ მიაღწევს.

ამ წესს დიდი უპირატესობა აქვს ზემოვანნილულ წესთან შედარებით: მოითხოვს ორ-სამჯერ უფრო მცირე დროს და მიიღწევა ბურბუშელის გაცილებით უკეთესი გაეღმინოვა; აღარ რჩება ბურბუშელაში მშრალი ან ნაკლებად შემუვაებული აღგილები, რაც შემდეგ ინფექციის ბუდედ შეიძლება გადაიქცეს.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეხსნათ საპარტო ხვრეტები მანამ, სანამ ბურბუშელა იმდენად არ შემუვადება, რომ მოსპონს მავნე მიკროფლორის გაფრცელების პირობები. საპარტო ხვრეტების გახსნასთან ერთად გენერატორში უნდა ჩავასხათ დასაძმარებელი ნაზავი, რომელიც პირველ ხანებში უნდა შეიცავდეს $6\div 7\%$ ძმარს და $3\div 4\%$ ალკოჰოლს. როცა ალკოჰოლი დაიშლება $0,2\div 0,5\%$ -მდე, მაშინ ასხამენ ახალ ნაზავს, რომელშიც უნდა იყოს $4\div 5\%$ ძმარი და $5\div 6\%$ ალკოჰოლი. ასე თანდათანობით ვამცირებთ ძმრის შემცველობას და ვადიდებთ ალკოჰოლის შემცველობას და დასაძმარებელ ნაზავში მანამდე, სანამ არ მივიღებთ შეუმუვებელ (უძმრო) ნაზავს.

ჩვეულებრივად ალკოჰოლისა და ძმრის კონცენტრაციების ჯამი ნაზავში უნდა იყოს $10\div 12$ ფარგლებში. თუ წარმოებას დიდი დანაკარგი აქვს, რაც ხშირად ხდება ახლადგაშეებულ გენერატორებში, და ჩასხმული $11\div 12\%$ -იანი ალკოჰოლის ხსნარიდან ვერ მიიღეს 9% -იანი ძმარი, მაშინ უნდა გავზარდოთ ალკოჰოლის შემცველობა საძმარე ნაზავში, რათა ძმრის კონცენტრაცია გენერატორში არ დაეცეს 9% -ზე დაბლა, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინფექციის განვითარებისათვის.

საძმრე ნაზავის ალკოჰოლიანობის გაზდა $13\div 13,5\%$ -ზე უფრო მეტად აღარ არის ხელსაყრელი, რადგან ალკოჰოლის მაღალი კონცენტრაცია აქვეითებს ძმარმუავა ბაქტერიების ცხოველ-მოქმედებას.

თუ რამე მიზეზის გამო 13% ალკოჰოლის შემცველი ნაზავი ვერ მოგვცემს 9% ძმარს, მაშინ უნდა შევწყვიტოთ გენერატორში ახალი ნაზავის ჩასხმა და მიღებულ ძმარს დავუმატოთ იმდენი



სპირტი, რომ მოგვცეს 9%-იანი ძმარი. შეიძლება ამ ოპერაციის შედეგად რამდენიმეჯერ დაგვჭირდეს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღდგენილი იქნება გენერატორებში 9%-უკონცენტრაცია, უნდა ვეძებოთ კონცენტრაციის დაცვის შეზღიული და მოვალეობის მისი ლიკვიდაცია; მანამდე კი, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა (რამაც შეიძლება ზოგჯერ 60—70%-ს მიაღწიოს), უნდა განვაგრძოთ გენერატორებში კონცენტრაციის გადიდება.

გენერატორის შემუავებაზე დახარჯული ძმარი, ე. ი ბურბულაში დარჩენილი ძმრის რაოდენობა, უნდა გაფორმდეს აქტით და დაეწეროს წარმოებას, როგორც გარდამავალი ნაშთით. იგი მოწმდება ყოველი თვის ბოლოს.

ძმარმუაური დუღილის ბაქტერიების წმინდა კულტურის შეტანა გენერატორებში

თუ წარმოებაში გვაქვს ჯანსაღი და მაღალკონცენტრაციული ძმარი, რომელიც თვით შეიცავს ძმარმუაური დუღილის ბაქტერიების წმინდა კულტურას, მაშინ ამ ძმარს ვისმართ ბურბულების შესამუავებლად (როგორც იყო აღწერილი) და ამით ბურბულების დავასახლებთ ძმარმუავა ბაქტერიების იმ რასას, რომელიც ძმარში გვაქვს.

მაგრამ სშირად ხდება, რომ ინფექციისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ბურბულების შესამუავებლად ვხმარობთ გასტერილურ ძმარს, მაშინ საჭიროა გენერატორებში შევიტანოთ ძმარმუავა ბაქტერიების წმინდა კულტურა, რომელიც გამრავლებული იქნება ლაბორატორიაში.

წმინდა კულტურა შეიძლება დავამზადოთ ან ბურბულების დასახლებით ან ძმრის დამზადებით. პირველი წესი უფრო მაღალ-მწარმოებლურია და ამიტომ მეტწილად მას იყენებენ ხოლმე. ამისათვის აკეთებენ საგორავ გენერატორს, რომელიც ჩვეულებრივად იტევს 0,2 მ³ ბურბულებს (იბ. გვ. 57.), შიგ შეიტანენ ლაბორატორიაში დამზადებულ 1-2 ლიტრ კარგ ძმარს და 30-40 ლიტრ დასამარებელ ნაზავს, საჭირო საკვები ნივთიერებებით. როდესაც ეს ნაზავი დაძმარდება, მას უმატებენ ახალ ნაზავს და ასე შემდეგ, გენერატორის გავსებამდე.

როცა გენერატორი გაიცეს ბა, მაშინ ჩვენ ხელთ იქნება ძმარმუავა ბაქტერიების წმინდა კულტურით დასახლებული 0,2 მ³ ბურბულები და 300—350 ლ კარგი ძმარი. გენერატორს დავშლით და



იქიდან ამოღებულ ბურბუშელას სწრაფად გადავიტანთ მარმებულების რატორში, რომელშიც გვინდა შევიტანოთ ძმარმჟავა ბაქტერიების წმინდა კულტურა.

უნდა ვივარაულოთ გენერატორში არსებული ბურბუშელის არანაკლებ $1\dots 2\%$ -ისა, ე. ი. 0,2 მ³ ბურბუშელა შეიძლება გადავიტანოთ $10\dots 20$ მ³ ბურბუშელაში. ზედვე უნდა დავასხათ წმინდა კულტურაზე დამზადებული ძმარი.

თუ წმინდა კულტურა შეგვაქვს მცირე ტევადობის გენერატორებში, მაშინ წმინდა კულტურით დასახლებული ბურბუშელა და ძმარი უნდა გავანაწილოთ პროპორციულად.

ძმრის ნაზავის შედგენა

საძმრე ნაზავი უნდა შეიცავდეს:

1) იმდენ ალკოჰოლს, რაც უზრუნველყოფს $9\dots 10\%$ -იანი ძმრის მიღებას (ჩვეულებრივად $11\dots 13\%$ ალკოჰოლს).

2) იმდენ საკედ ნივთიერებებს, რაც უზრუნველყოფს ძმარმჟავა ბაქტერიების გამრავლებას. ძმრის ჭარმოების პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ყოველ 100 ლიტრ უწყლო სპირტზე, რომელიც უნდა დაიჭანვოს, ძმარმჟავა ბაქტერიებს სჭირდებათ:

შ ა ქ ა რ ი ი ი 500 გრ
ა ზ ა რ ი 4,5—გრ
ფოსფორი 5—6 გრ
კალიუმი 10 გრ

იმის მიხედვით, თუ რა ნივთიერებების სახით შევიტანთ ამ ნაერთებს საძმრე ნარევში, უნდა გავიანგარიშოთ მათი საჭირო რაოდენობა. მაგალითად, ადვილი გასაანგარიშებელია, რომ გოგირდმჟავა ამონიუმის სახით აზოტის შეტანისას, ამ ნაერთის ფორმულის მიხედვით— $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ —უნდა ავილოთ დაახლოებით 45 გრამი გოგირდმჟავა ამონიუმი საძმარე ნაზავში შემავალ ყოველ 100 ლიტრ უწყლო სპირტზე. ასევე გამოვთელით, რომ 5,5 გრამი ფოსფორის შესატანად დაგვჭირდება 45 გრამი სუბერფოსფატი— $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$, ხოლო 10 გრამი კალიუმის შესატანად კი—18 გრამი პოტასუმი— K_2CO_3 .

მაგრამ საქართველოში არ არის მიღებული საძმარე ნაზავში საკვები ნივთიერებების შეტანა რაიმე ქიმიური ნაერთების სახით. ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოში ძმარს ამზადებენ ძირითადად ლვინიდან ან ხილის წვენებიდან, რომლებიც საქმაო რაო-



დენობით შეიცავენ ძმარმული დუღილის ბაქტერიებისაფეხულის
საჭირო ნივთიერებებს.

პრაქტიკიდან ვიცით, რომ საკეთი ნივთიერებების თვალსაზ-
რისით 100 ლიტრ უწყლო სპირტის შემცველ ნაზავში უნდა შევი-
ტანოთ 160 ლიტრი ღვინო, ან 50 ლიტრი ლუდი, ან 25 ლიტრი
ციტრუსოვანთა წვენი.

თუ სამარე ნაზავს ჩვეულებრივად ვამზადებთ $11 - 13\%$ ალ-
კოჰოლიანობით, მაშინ 100 ლიტრი უწყლო სპირტი გვექნება
750—900 ლიტრ სამარე ნაზავში, რომლის მიმართაც ღვინო,
ლუდი, ან ციტრუსოვანთა წვენი დაახლოებით შეადგენს:

ღვინო	20%
ლუდი	6%
ციტრუსოვანთა წვენი	3% .

ძმრის წარმოების პრაქტიკაში თავისუფლად შეგვიძლია ვი-
ხელმძღვანელოთ ამ საორიენტაციო მონაცემებით.

საერთოდ დასამარებელი ნაზავის შედგენისას შეიძლება
შეგვხვდეს სამი შემთხვევა:

1. როგორ დასამარებელ ნაზავს ვამზადებთ უშუალოდ ღვი-
ნიდან, ლუდიდან ან ხილის წვენიდან, რომელსაც სჭირდება მხო-
ლოდ ალკოჰოლის დამატება საჭირო კონცენტრაციამდე.

2. როდესაც არ გვსურს ან საშუალება არა გვაქვს ძმარი
დაგამზადოთ უშუალოდ ღვინიდან ან ლუდიდან, მაშინ დასამა-
რებელ კუპაეს ვამზადებთ სპირტისა და წყლის ნარევიდან (განსა-
ზღვრული კონცენტრაციის), რომელსაც სჭირდება საკვები ნივთი-
ერებების დამატება; აქ თავის მხრივ შეიძლება მოგვიხდეს საკვები
ნივთიერებების შეტანა მარილების ან ღვინის, ლუდისა და ხილის
წვენების საშუალებით.

3. როგორ უნდა გავითვალისწინოთ უტილიზატორიდან მიღებუ-
ლი კონდენსატი.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალქე:

1) თუ საძმრე ნაზავს ვამზადებთ უშუალოდ ღვინიდან, ლუ-
დიდან ან ხილის წვენიდან, რომელსაც სჭირდება მხოლოდ ალკო-
ჰოლის დამატება, მაშინ დასამატებლად საჭირო სპირტის რაო-
დენობა გაიანგარიშება ფორმულით

$$B = \frac{m(c-a)}{b-a},$$



სადაც B არის დასამატებელი სპირტის რაოდენობის მოცულობის დეკალიტრობით,
 m — ნაზავის რაოდენობა დეკალიტრობით,
 c — ნაზავის საბოლოო სიმაგრე მოცულობითი პროცენტობით,
 a — ღვინის, ლუდის ან ხილის წვენის (ალკოჰოლიანობა) სიმაგრე მოცულობითი პროცენტობით,
 b — სპირტის სიმაგრე მოცულობითი პროცენტობით.
 ღვინის რაოდენობა გაიანგარიშება ფორმულით

$$A = m - B,$$

სადაც A არის ნაზავის შესადგენად საჭირო ღვინის რაოდენობა დეკალიტრობით,
 m — ნაზავის რაოდენობა დეკალიტრობით,
 B — ნაზავის შესადგენად საჭირო სპირტის რაოდენობა დეკალიტრობით.

2) თუ სამრე ნაზავს ვამზადებთ სპირტისა და წყლის ნარევიდან, რომელსაც უნდა დავუმატოთ საკეთები ნივთიერებანი, აქ როგორც ალვინიშენეთ, შეიძლება შეგვხვდეს ორი შემთხვევა: როცა საკეთები ნივთიერებანი შეგვაქვს მარილების სახით და როცა საკეთები ნივთიერებები შეგვაქვს ღვინის ან ხილის წვენის დამატებით.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპირტის უბრალო განზავებასთან საჭირო კოცენტრაციამდე, რადგან საკეთები ნივთიერებების შეტანა მარილების სახით პრაქტიკულად არ სცვლის არც ნაზავის მოცულობას, არც კონცენტრაციას. განზავების გასაიღებლად შეიძლება მივმართოთ ტაბულას (იხ. დამატება IX).

მეორე შემთხვევაში კი გამოვიყენებთ საანგარიშო ფორმულებს

$$A = Km \dots \dots \dots \quad (1)$$

$$B = \frac{m(c - k \cdot a)}{b} \dots \dots \quad (2)$$

$$G = m - (A + B) \dots \dots \quad (3),$$

სადაც A არის ღვინის რაოდენობა დეკალიტრობით,
 B — სპირტის რაოდენობა დეკალიტრობით,
 G — წყლის რაოდენობა დეკალიტრობით,
 m — ნაზავის რაოდენობა დეკალიტრობით,
 c — ნაზავის ალკოჰოლიანობა მოცულობითი პროცენტობით,

- a—ღვინის სიმაგრე მოცულობითი პოცენტობით,
 b—სპირტის სიმაგრე მოცულობითი პროცენტობით,
 K—ღვინის, ლუდის ან ხილის წვენის მინიმალური
 შემცველობა . ნაზავში და უდრის: ღვინისათვის
 0,2; ლუდისათვის 0,06; ციტრუსოფანთა წვენისა-
 თვის 0,03.

3) თუ ნაზავის შემადგენლობაში უნდა შევიყვანოთ უტილი-
 ზატორიდან მიღებული წყალი, მაშინ გაანგარიშება რთულდება
 და უნდა მიემართოთ განტოლებათა სისტემას.
 აღვნიშნოთ:

- m—ნაზავის რაოდენობა დეკალიტრობით,
 A—ღვინის, ლუდის ან ხილის წვენის რაოდენობა დეკა-
 ლიტრობით,
 B—სპირტის რაოდენობა დეკალიტრობით,
 D—უტილიზატორიდან მიღებული კონდენსატის რაო-
 დენობა დეკალიტრობით,
 G—წყლის რაოდენობა დეკალიტრობით,
 K—ღვინის, ლუდის ან ხილის წვენის მინიმალური
 შემცველობა ნაზავში,
 a—ღვინის, ლუდის ან ხილის წვენის ალკოჰოლიანობა
 % -ით,
 b—სპირტის ალკოჰოლიანობა პროცენტობით,
 c—ნაზავის ალკოჰოლიანობა პროცენტობით,
 d—უტილიზატორიდან მიღებული კონდენსატის ალკო-
 ჰოლიანობა პროცენტობით.

შეგვიძლია შევადგინოთ განტოლებები:

- 1) $mc = Aa + Bb + Dd;$
- 2) $m = A + B + D + G;$
- 3) $A = Km.$

ჩავსვათ A-ს. მნიშვნელობა პირველ განტოლებაში

$$mc = Kma + Bb + Dd;$$

ამ განტოლებაში, ჩვეულებრივად, უცნობი არის ხოლმე მხო-
 ლოდ B, რაც უდრის

$$B = \frac{m(c - Ka) - Dd}{b}.$$

თუ მიღებულ B—მნიშვნელობას ჩაიგენამ ვე-2 ფორმულაში,
 მაშინ აღვილად გავიგებთ დასამატებელი წყლის რაოდენობასაც
 $G = m - (A + B + D).$



შენიშვნის სახით უნდა ალვნიშნოთ, რომ უტილურებული კონდენსატი შეიცავს როგორც სპირტს, აგრეთვე ძმარს, ამიტომ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ როგორც ძმრისა, ისე ვე სპირტის კონცენტრაცია. ვინაიდან ძმრისა და სპირტის კონცენტრაცია კონდენსატორში ძალიან დაბალია, ამიტომ შეიძლება ისინი პირდაპირ შევკრიბოთ და ეს ჯამი ჩავთვალოთ სპირტის კონცენტრაციად.

განსაკუთრებულად დგას დასაძმარებელ ნაზავში ძმარმუკის შემცველობის საკითხი. თეორიულად ამას თითქმის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დასაძმარებელ ნაზავში მთავარია ძმარმუავად დასაუანგი ალკოჰოლის შემცველობა, მაგრამ პრაქტიკაში დაგვანახა, რომ დასაძმარებელი ნაზავის სხვადასხვა მუციანობის დროს საგრძნობლად მერყეობს გენერატორის მწარმოებლობა.

რეკომენდებულია, მაგალითად, არაავტომატური წესით მუშაობისას ვიხელმძღვანელოთ შემდეგი რეცეპტურით (იხ. ცხრილი 1), ავტომატური წესით მუშაობისას კი შემდეგი რეცეპტურით (იხ. ცხრილი 2), ცირკულაციური წესით ძმრის დამზადების დროს საერთოდ ვახდენთ დასაძმარებელი ნაზავის წინასწარ შემუავებას.

ცხრილი 1

დასაძმარებელი ნაზავის შემაღენლობა არა-ავტომატური წარმოებისათვის

ალკოჰოლი	ძმარმუკა	სპირტისა და ძმარმუკას ჯამი
9,9	0,7	10,6
10,6	0,7	11,3
11,1	0,7	11,8
8,1	3,0	11,1
5,5	6,0	11,5

როგორც ვხედავთ, გენერატორის მაქსიმალური მწარმებლობა მიღწეულია მაშინ, როცა დასაძმარებელი ნაზავის მუციანობა შეადგენდა $6\text{--}7\%$, ამიტომ, ძირითადად, დასაძმარებელი ნაზავი

დასაძმარებელი ნაზავის შედგენილობა
ავტომატურ წარმოებაში

ალკოჰოლი მლ/100 მლ	მუკინობა გრ/100 მლ	ალკოჰოლი- სა და ძმარ- მუკას ჯამი	ძმის მოსა- ლოდნელი კონცენტრა- ცია გრ/100 მლ	დაიუანგება სპირტი მლ/100 მლ
4,0	6,0	10,0	9,4	3,3
4,0	6,5	10,5	10,0	3,4
